ფილიპ დე ბომანუარი - ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების შესახებ

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

მიზანი - მოსწავლეები გააანალიზებენ წყაროს - ფილიპ დე ბომანუარის სამართლის კრებულის („ბოვეზის კუტიუმები“) - ერთ-ერთი თავის შინაარსს.

აქტივობაში გადმოცემულია საფრანგეთის სამეფო იურისტის - ფილიპ დე ბომანუარის (1247-1296) ჩვეულებითი სამართლის კრებული - “ბოვეზის კუტიუმები”, რომელიც ავტორმა 1282 წელს შეადგინა. წარმოგიდგენთ ამ ნაწარმოების ერთი თავის შინაარსს.

„ბოვეზის კუტიუმებში“ ასახულია საფრანგეთში მეფის ძალაუფლების მიმოხილვა. წყაროს თან ახლავს რამდენიმე შეკითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა მოსწავლეებს დაეხმარება, გაეცნონ მეფის უფლება - მოვალეობებს ფრანგულ ფეოდალურ საზოგადოებაში. შეკითხვების ბოლოს მოცემულია დავალება. მისი მიზანია შუა საუკუნეების სასულიერო და საერო ხელისუფლების შედარება. დავალების შესრულებისას უნდა გამოიყენონ გრიგოლ VII - ის „პაპის დიქტატი“ და ბომანუარის „ბოვეზის კუტიუმები“.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია X - XI კლასის მოსწავლეებისთვის.

ფილიპ დე ბომანუარი (1247-1296) იყო სამეფო იურისტი, რომელმაც 1282 წელს შეადგინა ჩვეულებითი სამართლის კრებული - “ბოვეზის კუტიუმები”, რომლის ერთი თავის შინაარსი ქვემოთაა მოყვანილი.

მეფე წარმოადგენს ყველა ქვეშევრდომის სუვერენს და საკუთარი უფლების საფუძველზე იცავს თავის სამეფოს. ამ მიზეზით მას შეუძლია შექმნას ნებისმიერი დაწესებულება,

რომლის მიზანიც საერთო სარგებლის მოტანა იქნება. რასაც მეფე დაადგენს, ის უნდა შესრულდეს; და არავინაა ისეთი, მასზე უფრო დიადი, ვისაც შეუძლია მოვიდეს მის კარზე, აღასრულოს სამართალი რაიმე სამართალდარღვევის ან უსამართლო განაჩენის საჩივრის თაობაზე ან სხვა საქმეთა გამო, რომელიც მეფეს ეხება. ასე რომ, ის არის სუვერენი, რომელიც ყველაზე მაღლა დგას და მას მოვიხსენიებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ რომელიმე სუვერენულ უფლებაზე, რომელიც მეფეს ეკუთვნის.

შეკითხვები:

1. ვინ იყო ფილიპ დე ბომანუარი და როდის შექმნა მან თავისი ნაშრომი?
2. ვისი ძალაუფლების განმტკიცებაზეა საუბარი ტექსტში?
3. ტექსტის მიხედვით, ჩამოწერეთ მეფის მინიმუმ ორი უფლება.
4. რას ნიშნავს ფრაზა - „მეფე არის სუვერენი“?
5. დაასახელე ერთი ფრაზა, რომელიც გამოხატავს ფეოდალთა ვასალურ დამოკიდებულებას მეფეზე.
6. წყაროდან გამომდინარე, როგორ იცვლება შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლება-ძლიერდება თუ სუსტდება?

დავალება:

შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალოს, ჩამოაყალიბონ შეკითხვები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, გრიგოლ VII „პაპის დიქტატსა“ და ფილიპ დე ბომანუარის „ბოვეზის კუტიუმები“ ერთმანეთს შეადარონ.
ასევე შესაძლებელია, ვენის დიაგრამის მეშვეობით მოსწავლეებმა ერთმანეთს შეადარონ რომის პაპისა და საფრანგეთის მეფის უფლება-მოვალეობები.